



ინფორმაციის წყაროების
შედასრულებული საგანგებო
პროცესების განხორციელება

A5



ფორმალური
პროცესების განხორციელება

A6



რომის
დინამიკური

A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

ორგანიზაცია, 1 აპრილი, 2005 წელი, №173 (1033)

ფასი 50 თეთრი

ახსენი

ოპოზიციის
აპარატის
პოლიტიკის
საქმიანობის
მონიტორინგის
ატარება

სახალხო დემოკრატიის აპარატთან არსებული მონიტორინგის ფაქტობრივად 25 ივლისიდან მთელი საქართველოს მასშტაბით ძალაშია სტრუქტურულად სამართლებრივად დადგენილი მონიტორინგის ატარება.

A3

მონიტორინგი

სტრუქტურული - კორუფციის
გადასწავლა

გთავაზობთ კომპანიის მიერ გატარებული ანტიკორუფციული სამუშაოების სექტორს, რომელიც სტრუქტურულად "პი-ვი კონსალტინგის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრს" საგანგებოდ მონაწილეობს.

A4

უცხოეთი

აშშ-ს უზენაესი
სამხედრო საბჭოს
დატოვებას სთხოვს

ავღანეთში ვითარების ასე თუ ისე სტაბილიზაციის ფონზე, ცენტრალური აზიის რეგიონში სამხედრო ბაზებზე აშშ-ს ჯარების დისლოკაცია უკვე გაუმართლებელია.

A5

სკორტი

ექსპერიმენტი
დაიწყო

3 ივლისს დაიწყო ფეხბურთში საქართველოს მე-17 ეროვნულ ჩემპიონატად ნოდებულო ექსპერიმენტი, რომლის ჩატარების წარმატებულობის ხარისხზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. პირველ რიგში კი ამ ექსპერიმენტის ავტორის და სულისჩამდგმელის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ნოდარ ახალკაცის ჩინოვიკური დღეგრძელება.

A6

აღივნი

31/07 1/08

თბილისი	36	37
ტყუბული	35	36
სოხუმი	35	35
გორი	32	33
ონი	29	28
ზუგდიდი	38	40
ახალციხე	35	36
ბაზრა	33	33
სამცხედრო	38	39

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8075
ევრო	2.1845
ბრიტანული სტერლინგი	3.1676
რუბლი	0.0631

ახსენი	A 2
ახსენი	A 3
სამხედრო	A 4
ქვირა	A 5
სკორტი	A 6
რევი	A 7
სხვადასხვა	A 8

ვის დარჩება მიტოვებული სახლები

აქტუალური თემა აფხაზეთში

ზურაბ აფხაზაძე
სოხუმი

საცხოვრებელ სადგომებზე საკუთრების უფლების საკითხი აფხაზეთის პოლიტიკური ცხოვრების დღის წესრიგში სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

ეს თემა დომინირებდა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ადვოკატ ხარაზიას წინასაარჩევნო პროგრამაშიც, რომელიც ორი თვის წინათ ქვეყნის პარლამენტში იყრიდა კენჭს. მართალია, მაშინ ხარაზია პროსახელისუფლებო კანდიდატთან ალხას ტხაგუშვიტთან დამარცხდა, მაგრამ საცხოვრებელ სადგომებზე საკუთრების

უფლების საკითხს ოპოზიცია არ უშვებს. მის ირგვლივ პრესაშიც რამდენიმეჯერ აგორდა სკანდალი. აღნიშნულ საკითხზე თავისი მოსაზრება პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმაც გამოთქვა.


საცხოვრებელი სადგომების საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული კონფლიქტები მთელი ომისმე-

ბაზრძალა A2 ბაზრძალა

განსაკუთრებული (ექონომიკური) ზონა



უცნაურად დაიწყო გასული კვირა კავკასიაში - ჩეჩენეთის განსაკუთრებული სტატუსის ეჭვქვეშ დაყენება ის ეფექტი იქონია, რომ კრემლის მიერ არჩეული ალხანოვიც კი "ფეხს ითრევს" ცენტრთან უფლებამოსილების განმტკიცების შესახებ შეთანხმებაზე



ნიკა თარაგვილი

პოსტკონფლიქტური
განსაკუთრებული
ზონები

პოსტკონფლიქტური რეგიონებში განსაკუთრებული (სპეციალური) ეკონომიკური ზონის ჩამოყალიბების იდეა ახალი არ არის. იგი საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა დანგრეული რეგიონების აღსადგენად. ეკონომიკის განვითარების საშუალებით, ინვესტირებისთვის ხელსაყრელი ვა-

რემოს შექმნითა და კაპიტალის მოზიდვით, მოსახლეობის კეთილდღეობის გაზრდით, შესაძლებელი ხდებოდა ერთ დროს დაპირისპირებული მხარეების შერიგება. ამ თვალსაზრისით, ყველაზე თანამედროვე წარმატებული მაგალითი შეიძლება კოსოვო გახდეს, სადაც თვითმმართველობის ერთ-ერთ ძირითად ატრიბუტად საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობა განიხილება.

ბაზრძალა A5 ბაზრძალა

გადარჩენილი ხელოვნების ზეიმი

ბორჯომის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალის შედეგები



A7

ბაქო-ს დამკვირვებლებს აფხაზეთში მანდატი ექვსი თვით გაუბრძალდა

29 ივლისს ბაქო-ს უშიშროების საბჭომ მხარი დაუჭირა საქართველოში ბაქო-ს დამკვირვებელთა მისიის მანდატის კიდევ 6 თვით გაგრძელებას.

უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში ნათქვამია, რომ აფხაზეთის სეპარატისტული კონფლიქტის მოგვარების უმთავრეს საკითხებზე პროგრესის ნაკლებობა მიუღებელია. საბჭო ორივე მხარეს მოუწოდებს, მონაწილეობა მიიღონ კონსტრუქციულ მოლაპარაკებებში და ყველაფერი გააკეთონ არსებული ურთიერთუნდობლობის აღმოსაფხვრელად.

27 ივლისს პრეზიდენტ სააკაშვილის პირადად წარმომადგენელმა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებში ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ალექსანდრე მარტოვიძემ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარე, სიტყვით მიმართა უშიშროების საბჭოს და კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარება გააცნო.

ალექსანდრე მარტოვიძის ახალ წინადადებებზე, რომელიც შეიარაღებული დაპირისპირების საწინააღმდეგოდ ქართულ-აფხა-

ზეთში, ერთობლივი განცხადების მიღებას და აფხაზეთში დევნილთა დაბრუნებას შეეხება.

პრეზიდენტის პირადად წარმომადგენელმა, ასევე, ყურადღება გაამახვილა გალის რაიონში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე. გარდა ამისა, ალექსანდრე მარტოვიძემ გამოთქვა სოხუმის ხელმძღვანელობის გეგმის - აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის ქონების მითვისების შესახებ.

უშიშროების საბჭოს სხდომაზე, ასევე, სიტყვით გამოვიდა საქართველოში ბაქო-ს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი ჰაიდი ტალიაიანი, რომელმაც განაცხადა, რომ სოხუმი და თბილისი კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისადმი დაინტერესებას იჩენს. ამის დასტურია მხარეებს შორის გასული წლების განმავლობაში მიმდინარე, ევრეთ ნოდებულო, "ბაქო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ჯგუფის" შეხვედრამ.

მედიანუსი

პრივატიზაციის პროცესი კვლავ აქტიურად მიდის

საზღვრული სეზონის მიუხედავად, საქართველოში პრივატიზაციის პროცესი კვლავ აქტიურად მიდის. უახლოეს დღეებში გასაყიდად ორი მსხვილი ობიექტი გამოვა: "ბათუმის გემთსაბინა ქარხნის" შექმნის მსურველთა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განაცხადების შეტანა პირველი ავგისტიდან შეუძლიათ. ქარხნის საწყისი ფასი 7 700 000 აშშ დოლარია. ობიექტი ბათუმში, შვანგ ქუჩა N1-ში მდებარეობს. საწარმო საქმიანობა, მცურავი საშუალებების მშენებლობა და რემონტი, ასევე მანქანა-დანადგარებისა და ლითონ-კონსტრუქციების წარმოება და რემონტია.

ქარხნის 100-პროცენტული წილის მფლობელი სახელმწიფოა და ის მთლიანად იყოფება. მისი საწყისი ფასი 13 774 250 ლარია.

ობიექტი მოიცავს ადმინისტრაციულ შენობას 2 873,9 კვ. ფართობს, 23 668 კვ. ფართობის დამამრე შენობა-ნაგებობებს და 95 800 კვ. მინის ნაკვეთს.

საწარმოს დებიტურული დავალიანება 309 837 ლარია, კრედიტორული დავალიანება კი 1 633 152 ლარს შეადგენს. განაცხადების მიღება 30 აგვისტოს 17 საათამდე გაგრძელდება, კონსტრუქციის კომისიის არის დაგეგმილი.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შპს "ლოლო-1" გასაყიდად ხელმოწერა გამოიტანა. ობიექტის საწყისი ფასი 2

100 000 აშშ დოლარია. შპს "ლოლო-1" თბილისში ოპოზიციის ქუჩის N14-ში მდებარეობს. ის 100 პროცენტით სახელმწიფოს მფლობელობაშია და მთლიანად აუქციონის წესით იყიდება. ობიექტის საწყისი ფასი 7 443 310 ლარია. მისი მფლობელი მანდიანა ჯეგევაშია. აუქციონის დასრულების შემდეგ, ხოლო კრედიტორული - 144 290 ლარს იყოფება ობიექტის შენობა-ნაგებობები, რომლის ფართობი 72 476 კვადრატული მეტრია. ასევე, 226 788 კვ. მეტრის მოცულობის მიწის ფართობი.

განაცხადების შეტანა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ობიექტის ყიდვის მსურველებს 1 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით შეუძლიათ. აუქციონის კომისიის შედეგები 16.00 საათზე გაინარჩუნდება.

რაც შეეხება პრივატიზაციის მიხედვით თანხებს: "საქართველოს ბიუჯეტს პრივატიზაციიდან გათვალისწინებული შემოსავლები არ დააკლებს". აცხადებს ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი. მინისტრის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ "ჭიათურის მანქანების" და "გარციხე ჰესის" პრივატიზაცია ჩაიშალა, ამ საკითხზე კონსულტაციები კვლავ მიმდინარეობს. ამიტომ დაკარგული მილიონებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.

ბაზრძალა A3 ბაზრძალა

სასამართლო სისტემაში დაწყებული საერთაშორისო ცვლილებები გაგრძელდება

წლების შემდეგ ხალხს დაწყებული სასამართლო რეფორმა აქტიურ ფაზაში შევიდა და 2006 წლის 1 ივნისამდე სასამართლო სისტემაში კვლავ მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდება.

რეფორმის პირველი ეტაპი დასრულებულია და მართლმსაჯულება ახალი სისტემით მუშაობს. ამიერიდან ყველა საქმეს, რომელიც პირველი ინსტანციის წესითაა განსაზღვრული, იქნება ეს თანამდებობის პირის წინააღმდეგ აღძრული საქმე თუ წევრული პირის მოქალაქის წინააღმდეგ, განიხილავს მხოლოდ საქალაქო სასამართლოები. მომდევნო ეტაპი არის სააპელაციო სასამართლო, თბილისის საოლქო სასამართლოს უმაღლესი სასამართლოები უმაღლესი სასამართლოები და დაკეულები და სააპელაციო საჩივრების გარდა ისინი სხვა საქმეებს აღარ განიხილავს. სასამართლო დავების ბოლო ინსტანციაა უზენაესი სასამართლო, რომელს-

აც მხოლოდ სასაპროკურორული განხილვა ევალება. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის განცხადებით, იგეგმება რაიონული სასამართლოების გაერთიანება და მათი რიცხვი 15-მდე შემცირდება.

გამსხვილებდა რაიონული სასამართლოებიც, მაგალითად ხესტაფონის რაიონულ სასამართლოში შევა ჭიათურის, თერჯოლის, ტყიბულისა და საჩხერის რაიონული სასამართლოები. ამჟამად, არსებულ რაიონულ სასამართლოებში ამუშავდება მაგისტრანტი მოსამართლის ინსტიტუტი. მსგავსი ტიპის სასამართლოები უცხოეთში, კარგა ხანია, მოქმედებს და საკმაოდ წარმატებითაც.

ბაზრძალა A3 ბაზრძალა

სასამართლო სისტემაში დაწყებული სერიოზული ცვლილებები გაგრძელდება

პირველი პერიოდი

მაგისტრანტი მოსამართლე, ანუ მომრიგებელი მოსამართლე, მცირე მოცულობის საქმეებს განიხილავს, სისხლის სამართლის დანაშაულს, რომელიც სამ წელზე მეტ ხანს არ ითვალისწინებს. ასევე, სამოქალაქო საქმეებს, სადაც დაჯ 2 ათას ლარს არ აღემატება. ოღონდ იმისთვის, რომ საქმე მაგისტრანტმა მოსამართლემ განიხილოს, აუცილებელია მხარეების თანხმობა. ერთი მხარის უარის შემთხვევაში მომრიგებელი მოსამართლე საქმეს ვერ განიხილავს. გარდა ამისა, მაგისტრანტი მოსამართლე განიხილავს ადვოკატების თვითმმართველობის ორგანოების მიერ გამოცემული აქტების და დადგენილებების

კანონიერებასაც. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებით, სასამართლოს დარბაზებში აუცილებელია დაცვის ახალი მექანიზმების ამოქმედება. კერძოდ, შემოიღებენ სასამართლო პოლიციის ინსტიტუტს. თითოეულ დარბაზში 1 ან 2 პოლიციელი იმუშავებს, სასამართლო პროცესზე ექსკუსების თავიდან ასაცილებლად. "მოსამართლეობის მსურველი საკვალიფიკაციო გამოცდა წესს კიდევ ერთხელ ჩაატარდება. გამოცდები ოქტომბერში გაიმართება," - განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა. მისი თქმით, აუცილებელია მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა, კერძოდ, მათი რიცხვი 300-დან 400-მდე მოიმატებს.

"შესაძლოა, ახალ ბიუჯეტში მოსამართლეთა რიცხვი 420-მდე განიზღვროს. ყველა რაიონში ცალკეულ იქნება ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოლეგიები და შესაბამისად, მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა აუცილებელი გახდება," - განაცხადა კოტე კუბლაშვილმა. მისივე ინფორმაციით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ამ დროისთვის შერჩეულია 60-მდე მოსამართლეთა კანდიდატი. მიღებული ცვლილებებით აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება ღია პროცესზე განხილვას ითვალისწინებს. შეგახსენებთ, რომ ჟურნალისტებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა დასწრება აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებისას უშუალოდ იყო. ამჯერად, მო-

სამართლე ვალდებულია, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, თუ რატომ უფარდება პირს აღმკვეთი ღონისძიებას და არა სხვა მსუბუქ სადამსჯელო სანქციას. ეს ის საკითხები, უფრო ზუსტად, მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე რეფორმის შედეგად ამუშავებული ის სიხსნებები, რომელთა შესახებაც დეტალური ინფორმაცია ჟურნალისტებმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ორგანიზებული ორდღიან სემინარზე მიიღეს. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებით, სასამართლოს თავმჯდომარეობისას იქნება მედიასთან მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბება. მისივე თქმით, დაგეგმილია სასამართლო განწყვეტილებების ვებ-

ვერზე დროულად გამოქვეყნება, ასევე, მოსამართლის სპიკერის თანამდებობის შემოღება, რომელიც მასმედიაში გააკეთებს ინფორმაციას სასამართლოებში განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. სპიკერი-მოსამართლე თითქმის ყველა სასამართლოში იმუშავებს. სემინარის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს "მედია ჯგუფის შეთანხმებას", რის საფუძველზეც, ჩამოყალიბდება სამართლებრივი რეფორმების მედიაჯგუფი. ასეთი ჯგუფი ჯერ 2001 წელს ლალო ტყეშელაშვილის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობისას ჩამოყალიბდა. თუმცა, როგორც კოტე კუბლაშვილმა განაცხადა, ამ ჯგუფის მუშაობა არაფერზე იყო. 24 საათი

ომბუდსმენის აპარატი პოლიციის საქმიანობის მონიტორინგს ატარებს

სახალხო დამცველის აპარატთან არსებული მონიტორინგის ჯგუფი 25 ივლისიდან მთელი საქართველოს მასშტაბით ძალოვან სტრუქტურებში სამართალდამცველთა საქმიანობის მონიტორინგს ატარებს. მონიტორინგის ჯგუფმა უკვე შეამოწმა გორის, კასპის, გარდაბნის, რუსთავის, დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის პოლიციის განყოფილებები, ქვედანაყოფილები და დროებითი მოთავსების იზოლატორები, ასევე ქვემო ქართლის მს სამხარეთო სამართლებრივი 18 ობიექტი. ძირითადად აღმოჩენილია პროცესუალური ხასიათის დარღვევები. კასპი - დაკავებულია აღრიცხვის ნივნი არასწორად იყო შევსებული. ერთი დაკავებულის მიმართ დარღვეული იყო პროცესუალური ნორმები; გარდაბანი - რეგისტრირებული არ არის დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანის ჟურნალი; შულავერი (მარნეულის რაიონი) - დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანის ჟურნალს არ აქვს რეგისტრაციის ნომერი; მარნეული - არ არსებობს დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანის ჟურნალი; რუსთავი - ერთ-ერთი დაკავების ოქმი დარღვევებით იყო შევსებული. სახალხო დამცველის აპარატმა მოკვლევითი მასალების საფუძველზე რეაგირებისათვის მიმართა გენერალურ პროკურატურასა და შსს-ს ადამიანის უფლებების დაცვისა და მონიტორინგის მთავარ სამართლებრივ განყოფილებას. 24 საათი

ყოფილი პარლამენტარის ვაჟის მკვლელობაში აქვითანილება ავსტრიის სამართალდამცველებმა

ავსტრიის სამართალდამცველებმა პარლამენტის ყოფილი წევრის ორი ჩიხრაძის ვაჟის მკვლელობაში ეჭვმიტანილები დააკავეს. ამჟამად, ნიკო ნიკოლაიშვილი და გიორგი კალანდიაძე ვენაში, ნინასწარის დაკავების იზოლატორში იმყოფებიან. მათი ბრალეულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ უნდა გადაუზღავნოს ავსტრიელ სამართალდამცველებს. ყოფილი პარლამენტარის ვაჟი ლალო ჩიხრაძე ორი წლის წინათ, თბილისში, საკუთარი სახლის წინ ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. თავად ორი ჩიხრაძე მკვლელობის უხდის სამართალდამცველებს და აცხადებს, რომ მისი ვაჟი უსამართლობას შეეწირა. მედიანუსი

სამეგრელოში დამატებითი პოლიციის თანამშრომლებმა რამდენიმე რაიონში ერთდროულად სპეცოპერაცია ჩატარეს

სსს-ს ცნობით, დაკავებულნი ავტომანქანების გატაცებაში არიან ეჭვმიტანილები. დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებისთვის ვერჯერობით ბრალი არ ნაუყენებიათ. ნინასწარის ინფორმაციით, დაკავებულები მანქანებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის თბილისში იტაცებდნენ და ქართველი სამართალდამცველების მიერ უკონტროლო ტერიტორიაზე, აფხაზეთში, გადაწყვედათ გასაყიდად. დაკავებულებს თბილისში რამდენიმე დღეში გადმოიყვანენ. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეთო პოლიციის უფროსის მერაბ გერგაიას ინფორმაციით, დაკავებულთა შორის არიან ყაჩაღობისთვის რამდენჯერმე ნასამართლევნი ვაფაროძე და ქალდანი. სამეგრელოს გარდა სპეცოპერაცია ჩატარდა თბილისშიც. შსს-ს კრიმინალური დეპარტამენტის თანამშრომლებმა ე. წ. კრიმინალური სამსახურის ავტორიტეტი, 23 წლის ავთო შაროვი დააკავეს. შაროვი, მეტსახელად "დუბუა", წარსულში ნასამართლევია. ამჟამად, მას ბრალი ნარკოტიკების რეალიზაცია-შენახვაში ედება. 24 საათი

ნარკოტიკული ნივთიერება ხაჭაპურში აღმოაჩინეს

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის N1 საპრობოლის სასამართლო განყოფილებაში საპრობოლის თანამშრომლებმა დააკავეს 20 წლის ვ. პ., რომელიც ცდილობდა სახეობითი მყოფ პატიმართან, დავით ველთაურთან ძლიერ მოქმედი ნარკოტიკული ნივთიერება "ბუფერინი" შეეგზავნა. ნარკოტიკული ნივთიერება საპრობოლის თანამშრომლებმა ამანათის შემოწმებისას ხაჭაპურში აღმოაჩინეს. იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ინფორმაციით, ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერების ოდენობა 0,031 გრამს შეადგენს. მედიანუსი

თურმანაულის დაჭრის ფაქტთან დაკავშირებით 30 ექიმი დაიკითხა

ექიმ ირაკლი თურმანაულის დაჭრის ფაქტთან დაკავშირებით ქობულეთის პოლიციის რაიონულ განყოფილებაში რამდენიმე საათის განმავლობაში დაახლოებით 30 ექიმის დაკითხვა მიმდინარეობდა. სამართალდამცველებმა დაკითხეს ყველა ის ექიმი, რომლებიც შესაძლოა ინიციატივას მონაწილეობა მიიღეს. ქობულეთის პოლიციის რაიონულ განყოფილებაში იმყოფებოდა სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი დავით თელია, ასევე დაიკითხა მისი ვაჟი ზაზა თელია. პოლიციის განყოფილებაში თელია შეუძლოდ გახდა და იგი მეგობრებმა გამოიყვანეს შენობიდან. კომენტარი მხოლოდ თელიების ადვოკატმა ემზარ პაქსაძემ გააკეთა. მისი განცხადებით, მონაწილე სტატუსით მხოლოდ დავით თელია და მისი შვილი დაიკითხა და ექიმ ირაკლი თურმანაულის დაჭრის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრულია ინიციატივით და დაკავშირებით და არა კონკრეტულად მისი დაცვის ქვეშ მყოფების მიმართ. "დავით თელია დაჭრილი ირაკლი თურმანაულის კარგად არ იცნობდა და აქედან გამომდინარე, ვერც კონფლიქტი მოუვიდოდათ. უბრალოდ, თელიას წინააღმდეგ შავი პიარი ავორდა," - განაცხადა ადვოკატმა. გამოძიებას ვერჯერობით კონკრეტული ეჭვმიტანილი არ ჰყავს. გავრცელებული ინფორმაციით, ირაკლი თურმანაული სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა დავით თელიამ და მისმა ვაჟებმა ქობულეთში, სასტუმრო "საქართველოში" ექიმების სიმპოზიუმის დასრულებასთან დაკავშირებით გამართულ ვახშამზე დაჭრეს. პროფესორ თელიასა და სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომელს თურმანაულს შორის შელაპარაკება მოხდა, ჩხუბში თელიას ვაჟებიც ჩაერვივნენ. დავით თელიას განცხადებით, ექიმ ირაკლი თურმანაულის დაჭრის ფაქტში მისი და მისი შვილების შესაძლო მონაწილეობის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეეფერება. ვრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ საქმის გამოძიებაში რეზო კახნიაურმა თურმანაულის დაჭრის ფაქტში სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის დავით თელიასა და მისი ვაჟების მონაწილეობის შესახებ გუშინდელი განცხადების გამო შესაძლოა თანამდებობა დატოვოს. ინტერპრესიუსი

ჯეოსელის მუბოზხული

ჯეოსელი გაქვით უნიკალურ მანქანებს ისარგებლოთ ფასდაკლებით სამ "მუბოზრულ ნომერზე". შეარჩიეთ სავაჭრო ნომერი ჯეოსელის 36 ლაი-ლაის ნომერი და ისარგებლოთ 30% -იანი ფასდაკლებით.

"მუბოზრული ნომერის" აქტივაცია ჯეოსელის აბონენტებისათვის :

აკრიფთ 705051 სტანდარტული სატარიფო გეგმის "მუბოზრული" მუბოზრულია.

შემდეგ აკრიფთ 705031. ნომერი შეიყვანეთ შემდეგი ფორმატით: 4XXXXX, 7XXXXX, 5XXXXX ან 893XXXXXX. დასრულების შემდეგ დააჭირეთ ღილაკს *..

"მუბოზრული ნომერის" აქტივაცია ლაი-ლაი აბონენტებისათვის:

აკრიფთ *104 *1* "მუბოზრული ნომერი", დააჭირეთ # და "OK".

"მუბოზრული ნომერი" შეიყვანეთ შემდეგი ფორმატით: 877XXXXXX ან 893XXXXXX

თითო მუბოზრული ნომრის აქტივაციის/შეცვლის საფასური შეაბღენს 0.50 ლარს, მუბოზრული ნომრის გაუქმება - უფასოა.

www.geocell.ge

3

20

ჯეოსელის საზაფხულო სარეკლამო!

არაჩვეულებრივი შემოთავაზება მათთვის ვინც ჯერ კიდევ არ არის ლაი-ლაის აბონენტი.

შეიძინე ლაი-ლაის ნომერი 5 ლარად და მიიღე სარეკლამო: 15 უფასო ნუმი (ჯეოსელის შიდა ქალაქი), 25 უფასო MMS, 125 უფასო SMS, 5 (3 ლარის) უფასო ჯავა თაბაში და 5 ლარი ღებოზიტვა.

გარდა ამისა, ჯეოსელის ოფისებში თქვენ შეგიძლიათ დაწვილიაზული მსგავსი ნომერების შეიძინოთ.

აკრიფთ, აქვით ქალაქი 12 აპრილი.

ლაილა

სასტუმრო ვაკეში

5 ლარად

ნოსტრუა ჯეოსელთან ერთად

15 უფასო ნუმი
125 უფასო SMS
5 უფასო თაბაში
25 უფასო MMS

ჯეოსელის სარეკლამო შეარჩიეთ *105#

www.lailai.ge

ფეხბურთი

ექსპერიმენტი დაიწყო



პირველი რაიონული ჩემპიონატი

მინილ აბიჯილი

3 ივლისს დაიწყო ფეხბურთში საქართველოს მე-17 ეროვნულ ჩემპიონატად წოდებული ექსპერიმენტი, რომლის ჩატარების წარმატებულობის ხარისხზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. პირველ რიგში კი ამ ექსპერიმენტის ავტორის და სულისჩამდგმელის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ნოდარ ახალკაცის ჩინოფიკური დღეგრძელობა. 10-გუნდიანი მოედლებიან ერთბაშად 16-გუნდიანზე გადასვლა დიდ რისკთან არის დაკავშირებული. მთავარი რისკვაქტორი კი ჩემპიონატში მონაწილე კლუბების უმეტესობის მწირ ფინანსურ ბაზის უკავშირდება. მაგრამ მოდით, ოპტიმისტები ვიყოთ და წარვთავაზოთ ვუსურვოთ 2 დღის წინ სტარტდებულ ეროვნულ ჩემპიონატს. მით უმეტეს, რომ თუ ექსპერიმენტმა გაამართლა, ქართული საფეხბურთო ცხოვრება პროგრესის გზით სერიოზულ ნაბიჯს გადადგამს.

პირველი ტურის ცენტრალური შეხვედრა გუშინ ალაბარში, სტადიონ "ოლიმპი" გაიმართა. თუმცა, სანამ ამ მატჩს შევეხებოდეთ, აღვნიშნავ ტურის ძირითად დღეს, 30 ივლისს გამართული თამაშების ზოგიერთ შედეგს. კერძ-

ფორმულა 1

ფორმულა ევროკავშირში ვეღარ გააბოლავს

გიბა ბურასაშვილი

"რენოს" ესპანელმა მრბოლმა ფერნანდო ალონსომ კარიერის პირველი გამარჯვება "უნგრეთის დიდ პრიზზე" მოიპოვა. პირველი გამარჯვებიდან ვუშინდლამდე ორი წელი გავიდა და ავტო უკვე დღეს მსოფლიო ჩემპიონობის აშკარა ფავორიტია, რომ არა გუშინდელი წარუმატებლობა, ვიჭყლით კიდევ; ფაქტობრივად, ჩემპიონია, მაგრამ 2005 წლის ჩემპიონატის კიდევ ერთმა ფავორიტმა "მაკლარენ-მერსედესის" ფინელმა მრბოლმა "ყინულის კაცად" შერაცხულა კიმი რაიკონენმა პირველობა არავის დაუთმო და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ ფერარდო მისელი უმუხებრითან ჭიდილში პირველმა გადაკეთა ფინისის ხაზი. უმუხებრმაც ხელი გამოიღო და მცირე შედეგით დაასრულა "უნგრეთის დიდი პრიზი". მესამე პოზიციაზე უმუხებრთა გვარის წარმომადგენლის - ტოიოტელ რალფ შუმხაერისაა.



რაიკონენს გამარჯვებაზე ჩემპიონობის იმედი ჩაუსახა.

შესაბამისად დაუფლებული ათი პუნტიანი, ფინელმა მრბოლმა ჩემპიონატის ლიდერ ალონსოსთან გარკვეული დოზით დეფიციტი აღმოაჩინა. მით უმეტეს, რომ "რენოს" ესპანელმა მრბოლმა მეთერთმეტე შედეგით და შესაბამისად უქულოდ დაასრულა.

ახლა კი რა ხდება? მიუხედავად "უნგრეთის დიდი პრიზის" საკვირაო შედეგებისა, აღნიშნული ეტაპი უკვე ისტორიის საკუთრებაა, რამეთუ გახდა ფორმულა 1-ის ბოლო ევროპული ეტაპი, სადა-

ც დაშვებული იყო თამბაქოს ნაწარმის რეკლამა. ნანარმისა, რომლისთვის საჯინობთა ბიუჯეტი გვარიანად მსუყვედ გამოიყურებოდა. აქ, თამბაქოს მწარმოებელ აშკარად კომპანიის "მარლბოროს" გამო ბევრთა თვალში "ფერარი" სწორედ "მარლბოროსთან" ასოცირდებოდა. ამერიკული კომპანიის სიმბოლოებთა თუ ლოგოებით დამუხრებულ სკუდერილთა ბოლოდღეობა განუწყვეტილ ცნებებზე იყო.

ერთი სიტყვით, ყველი გაუვი-

და ევროპულ სპორტსა და თამბაქოს ინდუსტრიას შორის მჭიდრო კავშირს. ფაქტია, თამბაქოს რეკლამაზე აკრძალვა ძალაში გუშინ ძალში 12 საათიდან შევიდა, აკრძალვა კი ევროკავშირისგან მოდის, რომელიც შესაბამისად, ჯერ კიდევ 2003 წლის წინათ გაისარჯა, მაგრამ თხოვნა-მუდარის შემდეგ აკრძალვამ ორი წლით - გუშინდლამდე გადმოინა.

ევროპარლამენტის მიერ რატიფიცირებული კანონით ყველაზე ცუდ დღეში სამეფო რბოლები

თამაშმა უშუღავათი ბრძოლაში ჩაიარა და უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდულმა "თბილისმა" ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა. მასპინძლები თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას ფლობდნენ და რამდენიმე შეტად საბოლოო მომენტში შეტეგებს ქვანახის კართან, რომელთა გამოყენება ვერ შეძლეს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მატჩის ბოლო წუთებში სტუმრებსაც შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ საკმაოდ ხელსაყრელი მომენტები გაატანეს ქარს. მატჩი ლიგიკურ, საყაიმო დასასრულამდე მივიდოდა, რომ არა "თბილისის" მეკარე გიორგი სომხიშვილის ყოვლად უპატენტებელი და ფატალური შეცდომა: მან უწყინარ სიტუაციაში მაღალი ჩამონდებულის ხელში დაფიქსირება ვერ მოახერხა და ბურთი ხელიდან გაუვარდა, ხოლო კვერნაძეს ისლა დარჩენოდა, ცარიელი კარის აღებით საკუთარი გუნდისთვის 3 ქულა მოეტანა.

პირველი ტური	
დილა - სპარტაკი	1:0
დინამო (ბზ) - ბორჯომი	1:0
კოლხეთი - ვიტ ჯორჯია	1:0
კახეთი - დინამო (თბ)	1:3
დინამო (სს) - ცხინვალი	0:2
თბილისი - ზესტაფონი	0:1

რკინიგზის საავადმყოფოს

სამედიცინო კოლეჯი

აცხადებს მიღებას:

1. მედიცინა; 2. ბებია ქალის; 3. ფარმაცია; 4. სტომატოლოგია; სპეციალობებზე მიიღებიან მოსწავლეები 9 და 11 კლასის განათლებით.

აღსანიშნავია:

სწავლა მიმდინარეობს დღის საათებში

10.00 სთ-დან 15.00 სთ-მდე.

გაიცემა **სახელმწიფო დიპლომი.**

მისამართი: დიღმის მასივი, რკინიგზის ცენტრალური საავადმყოფო. ტელ: 899 512524

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ბალდათის რაიონის ფერსათის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ფერსათის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი იხვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ბალდათის რაიონი, სოფელი ფერსათი, გამგეობის შენობა საკონტაქტო პირია: ბატონი შიგო, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე 2005 წლის 5 აგვისტოს 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 4 000 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია. წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ბალდათის რაიონი, სოფელი ფერსათი, გამგეობის შენობა საკონტაქტო პირია: ბატონი შიგო, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე 2005 წლის 1 სექტემბერს 12:00 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს 12:00 საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობს დაუბრუნდება გაუხსნილი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
 ქვეყანის 39ა, თბილისი, საქართველო
 ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
 ფაქსი: (995 32) 23 01 03

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ბორჯომის რაიონის წალკერის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, წალკერის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი იხვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ბორჯომის რაიონი, დაბა წალკერი, გამგეობის შენობა საკონტაქტო პირი: რამაზ ხაჩიძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე 2005 წლის 5 აგვისტოს 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 4 000 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია. წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ბორჯომის რაიონი, დაბა წალკერი, გამგეობის შენობა საკონტაქტო პირი: რამაზ ხაჩიძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე 2005 წლის 1 სექტემბერს 12:00 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს 12:00 საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობს დაუბრუნდება გაუხსნილი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
 ქვეყანის 39ა, თბილისი, საქართველო
 ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
 ფაქსი: (995 32) 23 01 03

ბარემოს დაცვისა და ზნეობრივი რისკების სამინისტროს განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს კონკურსს საქართველოს კანონის "ნაილის შესახებ" მე-17 მუხლის შესაბამისად ნიათის სარგებლობის ლიცენზიების მოსაპოვებლად:

- ყაზბეგის რ-ში მიწისქვეშა სასაბურთო წყლის შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- მცხეთის რ-ში სოფ. ნატახტარში მიწისქვეშა სასაბურთო წყლის შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- ზურაბის რ-ში სოფ. ზიდისყურის ტერიტორიაზე მდ. მამავერისა და ხრამის შესართავთან დასაბურთო 5 კმ-ში ქვიშა-ხრემის გამოვლინების შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- მცხეთის რ-ში ძეგლის საკრებულოს ტერიტორიაზე ძეგლის ქვიშა-ხრემის საბადოს სამხრეთ-აღმოსავლეთით უბნის დამუშავების მიზნით;
- მცხეთის რ-ში ძეგლის ქვიშა-ხრემის საბადოს "უკანაჭალოს" უბნის დამუშავების მიზნით;
- ზესტაფონის რ-ში მდ. ყვირილას კალაპოტის ტერასაზე "შაველის" და "ხობოვლის" უბნები და ზესტაფონის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის მოპოვების მიზნით;
- ჭიათურის რ-ნის მდ. ჯრუჭულას ხეობიდან ქვიშა-ხრემისა და სოფ. რაგინის ტერიტორიაზე კირქვის შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- მცხეთის რ-ში ძეგლის კირქვის საბადოს დამუშავების მიზნით;
- საჩხერის რ-ში ბაჯიციის კვარცის ქვიშის მოპოვების მიზნით;
- მარნეულის რ-ნის ყიზილაჯლოს ბაზალტის საბადოს შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- ქობულეთის რ-ნის მდ. ჩაქვისწყლისა და ხელვაჩაურის რ-ნის მდ. ყოროლისწყლის ხეობებში ინერტული მარ-

სალის მოპოვების მიზნით;

- ნინოწმინდის რ-ნის ჯიგრაშენის ბაზალტის ქვის საბადოს დამუშავების მიზნით;
- ზესტაფონის რ-ში ნიფლაკის გრანიტის გამოვლინების შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- ლიხეთის შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- ზესტაფონის რ-ში ნიფლაკის ქვიშა-ქვიშის გამოვლინების შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- ლაგდეხის რ-ში მდ. კაბალის მარჯვენა ჭალის ტერასაზე გორგეთის ქვიშა-ხრემის გამოვლინების შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- ლაგდეხის რ-ში თეთრისკარის სააგურე თიხების საბადოს დამუშავების მიზნით;
- თერჯოლის რ-ში სოფ. საზნოს ტერიტორიაზე გრანიტის ქვის გამოვლინების შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- ზესტაფონის რ-ნის მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრემის გამოვლინების შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- მცხეთის რ-ნის მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრემის გამოვლინების შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- ოზურგეთის რ-ში სოფ. მერიში მდ. ნატახტარის მარცხენა ნაპირზე ქვიშა-ხრემის გამოვლინების შესწავლა-მოპოვების მიზნით;
- განის რ-ნის სოფ. ჭვიშსა და ბაშს შორის მდ. როინის მხარე კალაპოტში ქვიშა-ხრემის გამოვლინების მიზნით;
- გარდაბნის რ-ში მდ. მტკვრის მარცხენა კაპანახის ქვიშა-ხრემის გამოვლინების შესწავლა-მოპოვების მიზნით.

ლიცენზიის მოპოვების მსურველმა პირებმა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უნდა მიმართონ განცხადებით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს შემდეგი საკონკურსო დოკუმენტაცია:

- ნიათის სარგებლობის სახე და პარამეტრები;
- განმცხადებელი სანარმოს მისამართი, მისი სამეურნეო ურთიერთობები სანარმო და საფინანსო პარტნიორებთან;
- მონაცემები განმცხადებელი სანარმოს ხელმძღვანელის ან მფლობელის შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ ან სანარმოს ლიცენზიის მიღებისას;
- განმცხადებელი სანარმოს ფინანსური შესაძლებლობანი;
- განმცხადებელი სანარმოს ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობანი, აგრეთვე იმ სანარმოს შესასრულებლად, რომლებიც მიზიდული არიან როგორც მენარდები;
- ინფორმაცია განმცხადებელი სანარმოს განვლილი ტერიტორიის შესახებ (გეოგრაფიული და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მდებარეობა, ფართობი, განაშენიანება, სასოფლო საშენობელი და ტყის საავარგობის დახასიათება და სხვა), მოკლე გეოლოგიური დახასიათება;
- მიწის მესაკუთრის წინასწარი თანხმობა ნიათის სარგებლობისათვის მინათსარგებლობის პირობების შესახებ.

კონკურსში გამარჯვებულ პირზე ლიცენზია გაიცემა კანონმდებლობით დადგენილი ვადებით. განცხადებები და თანდართული დოკუმენტაცია მიიღება 2005 წლის 14 აგვისტომდე. კონკურსის ჩატარების თარიღი განმცხადებელ სუბიექტებს ეცნობებათ დამატებით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მისამართი: გ.გულუას 6, მეორე სართული, N213 ოთახი. ტელ: 72-17-48

აღმოჩენა ცაიხში

ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიხში მიმდინარე არქეოლოგიურ გათხრებზე აღმოჩენეს მხედარი ქალის ბრინჯაოს ფიგურა, რომლის ანალოგი საბერძნეთის კუნძულ სანოსზეა ნაპოვნი და ერთ-ერთ უიშვიათეს

ექსპონატად მიიჩნევა. არქეოლოგიური აღმოჩენა ცხადყოფს უძველესი კოლხური და ბერძნული ცივილიზაციების ურთიერთობას. არქეოლოგიური გათხრები სოფელ ცაიხში 15 ივლისიდან

მიმდინარეობს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მერვე საუკუნის სამარხში აღმოჩენილია კოლხური ფული, საბრძოლო იარაღები, სამკაულები ძვირფასი ქვებით.

პრაიმ-ნიუსი

კონსერტი საკონსტიტუციო სასამართლოსთან

ბრიტანელი მომღერალი ტონი ომეილი თბილისელი მუსიკანებთან ერთად კონცერტს საკონსტიტუციო სასამართლოს შენობის წინ კვირას გამარ-

თავს. კონცერტს მერიის ბიუჯეტის გახსნის ინგლისელ მომღერალთან ერთად მონაწილეობას ქართველი შემსრულებლებიც მიიღებენ.

ტონი ომეილი 5 ალბომი აქვს გამოცემული და საკმაოდ პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

პრაიმ-ნიუსი

როკის დიდი აფეთქება

"როლინგსტონზი" ახალი სტუდიური ალბომით A Bigger Bang მსმენელის წინაშე 5 სექტემბერს წარდგება. ამ დღეს ჯგუფის ფანები რვა წელია, ელიან. გავრცელებული ოფიციალური განცხადების თანახმად, კომპაქტ-დისკის სათაური გამოხატავს "სტონზების" ალფრედოვანებას "დიდი აფეთქების" მეცნიერული თეორიისადმი სამყაროს წარმოშობის შესახებ. "როლინგსტონზის" ახალი ალბომის პროდიუსერი აცხადებს, რომ მალე ჯგუფი ახალ მსოფლიო ტურნესაც დაიწყებს. 21 აგვისტოს, ბოსტონში ფენუის ბეისბოლის სტადიონზე გაიმართება მუსიკალური მოგზაურობის პირველი, გამსხვავებული ნაწილი. შემდეგ, კანადასა და ამერიკაში 35 ქალაქის მოვლის მერე, ჯგუფი მექსიკას, სამხრეთ ამერიკას, შორეულ აღმოსავლეთს, ახალ ზელანდიას, ავსტრალიას და ევროპას ეწევა. ევროპაში, 2006 წლის ზაფხულში დასრულდება კიდევ მათი მოგზაურობა. ჯგუფის წევრებს კონცერტების წარმატებაში ეჭვი არ ეპარებათ. "როლინგსტონზი" ხომ ერთ ასეთ მნიშვნელოვან რეკორდს ფლობს: ჩრდილოეთ ამერიკაში ყველა დროის ყველაზე მეტად დასრულებული ტურნეების სის პირველ ორ ადგილს. ახლაც კონცერტებზე დასასრები ბილეთების 97 პროცენტი უკვე გაყიდულია. ახალი ალბომი Virgin Records-ის ეგიდით გამოიცემა. ჯგუფმა და რიჩარდსმა სიმღერებზე მუშაობა შარშან შემოდგომის დაიწყეს, შემდეგ კი ხმის ჩანწერ სტუდიაში ჩარლი უიტსტან და რონ უუდთან ერთად



შევიდნენ და ფურცელზე დაწერილი სიმღერები სტუდიაში ააქლერეს. A Bigger Bang სრულიად ახალი სიმღერებს აერთიანებს. ის პირველი სტუდიური ალბომია 1997

წელს გამოსული პლატინის დისკის Bridges to Babylon-ის შემდეგ. კრებულს "სტონზები" ასე ახასიათებენ: "ძლიერი, ენერჯიული როკისა და ბლუზის სიმღერების

ამბიციური და მრავალფეროვანი კოლექცია". დისკი 16 ბილიკი შედის და ყველაზე ვრცელია 1972 წელს გამოსული Exile on Main Street-ის შემდეგ.

სწრაფად ხარისხიანად! EUROCLEAN-SERVICE

შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბუნზონ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:

- ნივთების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-განწმენდა.
- მრბილი ავეჯის, საძინებელი გარნიტურის, მატრასებისა და ლოჯინების სიღრმეული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და შინის კონსტრუქციების რეცხვა-განწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპირილება.
- მინქანის საღონის წმენდა.
- აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლეუმის წმენდა და გაპირილება.
- ავეჯის რესტავრაცია.

მის. ლეჩელიძის ქუჩა - ყველაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03, მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50 E-mail: Euroclean_service@posta.ge

მიჩა-მებარი გინევეთ

მის საქართველო 2005-ეი

მონაწილეობის მისამართად

17-დან 24 წლამდე ასაკის გოგონები მიჩავეთ!

გამოაღიწიეთ თქვენი მიჩა და მოხიბვალურობა!

გაიბარჯეთ და მოიხიბეთ პრიზები!

განათეთ მის საქართველო და გაიბარჯეთ მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ სილამაზის კონკურსებს.

მის მსოფლიო, მის საზღვარსა და მის ბარიერს იმპარატივებს!

მიჩა

მონაწილეობის მისამართად: 333-833222, 3145 20-7 საზღვარსა და: 52-62-11 20 20 20

ფაქტობრივები

ტანსაცმლის ცნობილი საეჭპრო ქსელი GAP-ი შემოდგომისთვის მორიგ ვარსკვლავურ სარეკლამო კამპანიას ამზადებს. "ფაქტობრივები" - ასე ერქმევა სარეკლამო რგოლებს, რომლებშიც აღმანის მორისეტი, ჯოს სტონი, ქით ურბანი და "დესთინოზ ჩაილდ"-ის მომღერალი მიშელ უილიამსი მიიღებენ მონაწილეობას. GAP-ის ახალ ტელერეკლამებში თითოეული მუსიკოსი იმღერებს თავის საყვარელ სიმღერას (იგულისხმება სხვა მომღერლის სიმღერა) და თან GAP-ის ჯინსის შარვალს გაუკეთებს რეკლამას. მაგალითად, მორისეტი და სტონი რომლებიც ამ ფირმის სარეკლამო კამპანიების ვეტერანებად ითვლებიან სილის Crazy-ის, ირენგ ბერლინის Check to Cheek-ს და "შიზ ბოიზის" God Only Knows-ს შესარულდებენ. ქით ურბანი - ბილი ტორპის Most People I know Think I'm Crazy-ს, მიშელ უილიამსი კი - ალ გრინის Let's Stay Together-ს. თუმცა, ყველაფერი ტელეეკრანზე არ დასრულდება. პარალელურად ჩაინერება კომპაქტი, რომელიც ყველა ამ სიმღერას მოუყრის თავს და რომელსაც GAP-ის



ლურად ჩაინერება კომპაქტი, რომელიც ყველა ამ სიმღერას მოუყრის თავს და რომელსაც GAP-ის

მალაზიებში 1 სექტემბრიდან 17 სექტემბრის ჩათვლით საჩუქრად დაურიგებენ იმ კლიენტებს, რომ-

ლებიც მალაზიაში 60 დოლარზე მეტს დახარჯავენ.

ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლბ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის? ხარ ჭკვიანი და გამოიჩინე სწრაფი აზროვნებით? არ გეშინია გამოხატო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები? მაშინ, შენ შეიძლება გახდე გალაქტის "ყველაზე ჭკვიანი" მონაწილე!

ამისთვის საჭიროა:

შეაგხო ანკეტის ფორმა შემოდგომის ერთად.

მოგიწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საჭიროეულის ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვუძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს!

მონაწილდის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი _____

მისამართი _____

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები _____

დაბადების თარიღი _____

სკოლა _____

კლასი _____

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები _____

მშობლის ან მეუღლის სახელი, გვარი _____

მშობლის ან მეუღლის ხელმოწერა _____

გვრდებულება: კონკურსანტი ბავშვის ახალი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოავსებეთ მხოლოდ ერთ ფსევდონად.

ანკეტა გამოავსე ზედნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: საქართველოს კომპანია "რესთაივი 2", ვიკა ფსევდონად 45, 300077 თბილისი

ბ ღ ა ნ კ ი უ ფ ა ს ო ა

სახელი _____ მისამართი _____

გვარი _____

ასაკი _____ საომარბაბლო ტელეფონის ნომრები _____

სისავლი _____

1	თქვენი მონაწილეობა:	8	თქვენი იმპრესია
2	პირველი (თუ გვაქვს)	9	თქვენი ურთი
3	პირველი:	10	თქვენი სასამართლო ბარდისა და ტელეფონი?
4	სამართლო აბილი (თუკარ ახალით თქვენი საბილბო)	11	როგორ დაგაგვარებთ 8000 ლარს ბილი დღეში? (გადახე: ბილი დღეში 300 დაგაგვარებ ბილი დღეში)
5	კვლე სარ მონაწილეობით (თუკარ ახალით თქვენი საბილბო)	12	როგორ გარგობთ თქვე ზანალი კონკურსანტის პრიზები? (ახალით ვაგებ)
6	სხვა როგორ ტელეფონები ბაბილი მონაწილეობა მიღებელი, სარ და როგორ?	13	როგორ დაგაგვარებთ თქვენი თქვე ბარდისაში "საბილი რაგორ" თქვენი დროს? (ახალით ვაგებ)
7	სხვა როგორ კონკურსანტის კონკურსანტი და შემოგვარებთ ბილილი მონაწილეობა სარ და როგორ?		

თქვენი სახელი _____ (თქვენი სახელი)

სახელი, გვარი, მამის სახელი _____

მისამართი _____

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები _____

დაბადების თარიღი _____

სკოლა _____

კლასი _____

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები _____

მშობლის ან მეუღლის სახელი, გვარი _____

მშობლის ან მეუღლის ხელმოწერა _____

გვრდებულება: კონკურსანტი ბავშვის ახალი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოავსებეთ მხოლოდ ერთ ფსევდონად.

ანკეტა გამოავსე ზედნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: საქართველოს კომპანია "რესთაივი 2", ვიკა ფსევდონად 45, 300077 თბილისი

ბ ღ ა ნ კ ი უ ფ ა ს ო ა